პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 დეკემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 246 (9913) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საღამო ოლიმპიელებთან



**თბილისის** საბიბლიოთეკო სასწავლებელში შეხვედრა მოუწყვეს სეულის ოლიმპიადის პრიზიორებს მაია აზარაშვილს და ქეთევან [illegible]ორაშვილს.

სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ მოსწავლეები და პედაგოგები.

ოლიმპიელებმა გაიხსენეს საინტერესო ფრაგმენტები სპორტული ცხოვრებიდან, დამსწრეთ უამბეს აგრეთვე სეულში გატარებულ დღეებზე, უპასუხეს შეკითხვებზე.

შეხვედრის დასასრულს სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

**მაია იაკობიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

# ქალაქებისა და რაიონების დღე ჩვენს გაზეთში

**სოციალურ საკითხთა შორის, რომელსაც დღეს ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა, განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩნეილი ფიზკულტურასა და სპორტს. საკითხის დაკონკრეტებას არ შევუდგებით, რადგან ისედაც ყველასათვის კარგადაა ცნობილი თუ რაზეა ლაპარაკი. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა გვაქვს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით კი სოფლად. დიდი შესაძლებლობები რჩება გამოუყენებელი ჩვენს მსხვილ ქალაქებშიც კი.**

**იწურება 1988 წელი. ამ წელიწადმა სიხარულიც ბევრი მოგვიტანა და სინანულიც. რესპუბლიკის სპორტული წარმატების ფონზე კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ნაკლოვანებები მასობრივ სპორტსა და მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში.**

**დღეს დემოკრატიზაციისა და საჯაროობის დამკვიდრების პირობებში ვცხოვრობთ. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენს გაზეთში წინა პლანზე წამოგვეწია ახალი თემა. რას ვაპირებთ და რას მოვითხოვთ? გვინდა საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობას დავეკითხოთ და მათთან ერთად ვიმსჯელოთ ადგილებზე მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. მათი აზრი ყველაზე სარწმუნო ორიენტირი იქნება ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისთვის და არა მარტო მათთვის. გვინდა მოგვწეროთ ყველაფერზე, რასაც ფიქრობთ, რაც გაღელვებთ, რასაც ხედავთ, რაც არ მოგწონთ, რაც გსურთ რომ იყოს — ეს თემა ხომ უამრავ და უამრავ საკითხთა წრეს მოიცავს. ჩვენ განგებ არ ვაკონკრეტებთ სათქმელს, არ გვსურს შეგზღუდოთ, ვიმეორებთ, მოგვწერეთ ყველაფერზე. მთავარია, გვითხრათ როგორ გესახებათ თქვენი ქალაქის, რაიონის, სოფლის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება. „ლელოს" ფურცლებზე ცალ-ცალკე გამოვაქვეყნებთ თითოეული რეგიონის მასალებს, ცხადია, ამ თავისებურ „სარკეში" ჩაიხედავენ ისინიც, ვისაც სამსახურებრივად ევალებათ ნაკლოვანებების აღმოფხვრა. ჩვენი გაზეთი თქვენი თანადგომი იქნება. ვფიქრობთ, დღევანდელი წერილის სათაური „ქალაქებისა და რაიონების დღე ჩვენს გაზეთში" რუბრიკად ვაქციოთ. თქვენც ამოგვიდექით მხარში.**

ამ ერთი კვირის განმავლობაში წერილებს ველით აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის და ბორჯომის რაიონების, ქალაქების — ფოთის, გორის, ზუგდიდის და ტყიბულის მოსახლეობისაგან.

## ჩოხატაურელმა ლელობურთელებმა მიზანს მიაღწიეს

სამ თვეზე მეტია, გრძელდება საქართველოს ლელობურთელთა პირველობა, რომელშიც მონაწილეობს 6 რაიონის გუნდი. თითოეულმა 10-10 შეხვედრა ჩაატარა საკუთარ და მეტოქის მოედანზე, დამარცხებაც ყველამ იწვნია, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე ჩოხატაურელები დაწინაურდნენ. მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ გორისა და გეგეჭკორის რაიონის გუნდები.

ამასწინათ ჩოხატაურის სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ადგილობრივი და გორელი ლელობურთელები. თამაში მეტად საინტერესოდ წარიმართა და ჩოხატაურელთა გამარჯვებით დამთავრდა — 8:2. ამრიგად, ჩოხატაურელმა ლელობურთელებმა შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე 37-ედ მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურელთა გუნდი დაკომპლექტებული იყო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშა-მოსამსახურეებით. საწარმოს ხელმძღვანელთა და გუნდის წევრთა გულისხმიერი ურთიერთდამოკიდებულების შედეგმაც არ დააყოვნა — ჩოხატაურელებმა სასურველ მიზანს მიაღწიეს.

**დავით ბურბენიძე.**
**(„ლელოს" კორ.).**

## „ლელოს" ახალი საკორესპონდენტო პუნქტი

გაიხსნა „ლელოს" ახალი საკორესპონდენტო პუნქტი კახეთის ზონაში. კორპუნქტის სამოქმედო ზონა, რომელშიც იმუშავებს „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი ალექსი პაპოშვილი, მოიცავს საგარეჯოს, წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, თელავისა და ახმეტის რაიონებს.

გაცნობებთ ახალი კორპუნქტის მისამართს: გურჯაანი, ი. ნონეშვილის გამზირი № 14 (გურჯაანის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის ცენტრი), მე-3 სართული, ტელეფონი: 2-39-92.

კახეთის ზონაში „ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტის გახსნაში დიდი დახმარება გაგვიწია პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ და გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელობამ, რისთვისაც რედაქცია მათ მადლობას მოახსენებს.

## გუშინ...

**ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ციროვის პარკი) სსრ კავშირის პირველობის I ლიგაში მოასპარეზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა დაამარცხა ფრუნზეს „სტროიტელის" კალათბურთელები 87:85 (48:43).**

**დღეს განმეორებითი მატჩია.**

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:**

**ველოსპორტში** — გოჩა ბეჟაშვილს (თბილისი, „დინამო")

**სპორტულ ტანვარჯიშში** — ლევან სისაურს (თბილისი, პროფკავშირები).

## თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

**საქართველოს** ტელერადიოკომიტეტის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის პროგრამა შეიყვარა ჩვენმა ტელემაყურებელმა. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს გემოვნებით მომზადებული საფეხბურთო გადაცემები როცა ცისფერ ეკრანზე ვხედავთ უცხოეთის სახელგანთქმულ საფეხბურთო კლუბებს და მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებს.

**გულშემატკივრებს** და ფეხბურთის მოყვარულებს კვლავ ელით საინტერესო შეხვედრა დიდ ფეხბურთთან. როგორც იცით, წელს მაისში ჩატარდა მიშელ პლატინის გამოსათხოვარი მატჩი. დღეს საქართველოს ტელევიზია 17 საათსა და 15 წუთზე გთავაზობთ ამ მატჩის ვიდეოჩანაწერს. 1989 წლის იანვარ-თებერვალში დაგეგმილია ევროპის ჩემპიონატის 5 მატჩის ჩვენება.

## ჭიდაობა ჩვენი, ქართული...






ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული საუნჯეა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი სტიმული მისცა სპორტის ამ ეროვნული სახეობის ტრადიციების აღორძინებას ჩვენს რესპუბლიკაში. სოფლებსა და ქალაქების უბნებს შორის რესპუბლიკურმა პირველობამ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ყველგან გამოაცოცხლა მუშაობა. ახლა შეჯიბრებებზე ვხედავთ იმ რეგიონებსაც კი, სადაც ქართულ ჭიდაობას ადრე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა.

სასიხარულოა ისიც, რომ რესპუბლიკის ცნობილი ფალავნებიც ხელს უწყობენ ქართული ჭიდაობის ავტორიტეტის ამაღლებას, მხარში უდგანან ამ ასპარეზობის ორგანიზატორებს. გუშინ, მაგალითად, როგორც მსაჯი, პირველად გავიდა ხალიჩაზე საქართველოს სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი მალხაზ ბერუაშვილი. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სწორედ ეს მომენტი აღბეჭდა ფირზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ. დღეს კი მალხაზი თავად გამოვა სპორტის სასახლის არენაზე და შეეცდება მეოთხედ მოიპოვოს საქართველოს ფალავნის სახელი.

გუშინ შეხვედრები ასე დამთავრდა: სოფელი ოტობაი (გალი) — ნორიო (გარდაბანი) — 0:9, ზემო ხანდაკი (კასპი) — ოძისი (დუშეთი) — 5:4, სალხინო (ვანი) — ერედვი (ცხინვალი) — 3:6.

წლის მონაპოვარი — ბატუტზე ხტომა

# იღბალი თუ კანონზომიერება?

**წლევანდელი** წელი უხვმოსავლიანი გამოდგა ქართველი ბატუტზე მხტომელებისთვის. ასეთი დიდი წარმატებისთვის მათ არასოდეს მიუღწევიათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე აბსოლუტური პირველობა მოიპოვა რუსუდან ხოფერიამ. გარდა ამისა, მან სინქრონულ და გუნდურ გამოსვლებში კიდევ ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა. და აი, ახლახან დამთავრებულ ევროპის იუნიორთა პირველობაზე ინდივიდუალურ შეჯიბრებაში კვარცხლბეკის სამივე საფეხური ქართველმა გოგონებმა დაიკავეს. ოქროს მედალი ანა დოლონაძემ მოიპოვა, ვერცხლისა—რუსუდან ხოფერიამ, ხოლო ბრინჯაოსი — ლია ბენდიანიშვილმა. ამავე დროს ლია და ანა უძლიერესები იყვნენ სინქრონულ ხტომებში. თუ სიმართლეს ვიტყვით, დებიუტანტებისგან ასეთ წარმატებას არავინ ელოდა. თუმცა ის, რომ დასავლეთ გერმანიის საგზური მსოფლიოს უძლიერეს ბატუტზე მხტომელებთან ბრძოლაში მოიპოვეს, თავისთავად უკვე საკმაო გარანტიებს იძლეოდა.

ევროპის პირველობის დაწყებამდე სექტემბერში მოსკოვში, ნოვოგორსკის ოლიმპიურ ბაზაზე, საბჭოთა კავშირის იუნიორთა (18 წლამდე) ნაკრების წევრები შეიკრიბნენ. იუნიორებს ვამბობთ, თორემ ფაქტობრივად, თითქმის ყველა გუნდის წევრი მოზრდილია. დასახელებული გოგონების გარდა შეკრებაზე მიწვეული იყო მიხეილ პელივანიდისი, მაგრამ ფეხის ტრავმის გამო გუნდს გამოეთიშა. ოცი სპორტსმენიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გოგო-ბიჭი უნდა შერჩეულიყო. ცხადია, გოგონათა შორის ადგილი განაღდებული ჰქონდა რუსუდან ხოფერიას. ანას და ლიას ძირითადად სინქრონულ ხტომებში გამოსვლის უფლების მოსაპოვებლად უნდა ებრძოლათ. აქ მათი კონკურენტები იყვნენ წლევანდელი და 1986 წლის ჩემპიონები — რუსუდან ხოფერია, ირინა კოლომეეცი და ტატიანა ლუშინა—ირინა მერკულოვა. ნოვოგორსკში შეკრების ბოლოს მერკულოვამ ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და პრაქტიკულად დაკარგა შეჯიბრებაში მონაწილეობის შანსი. თუმცა მწვრთნელებმა სასწრაფოდ გამონახეს გამოსავალი: ლუშინას საკავშირო პირველობაში გამარჯვებული ტაშკენტელი ოლია ტრიკოზოვა „დაუწყვილეს".

მეორე შეკრებაზე, რომელიც კვლავ ოლიმპიურ ბაზაზე გაიმართა, ნაკრების მწვრთნელებმა შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტეს ევროპის საგზურის მოსაპოვებლად სამჯერ გამართულიყო შესარჩევი შეჯიბრება. პირველ გამოსვლაში ლუშინა — ტრიკოზოვამ გაიმარჯვა, მეორე ადგილზე ანა და ლია გავიდნენ, მაგრამ მომდევნო ვარჯიშზე ლუშინა შეუძლოდ გახდა და შეჯიბრება ვერ დაასრულა. მუხლის ტრავმის გამო ასევე ვერ შეძლო ვარჯიშის ბოლომდე მიყვანა რუსუდანის მეწყვილემ კოლომეეცმა. ასე რომ, ანა და ლია კონკურენტების გარეშე დარჩნენ და გფრ-ის საგზურიც მოიპოვეს. რა იყო ეს, იღბალი თუ კანონზომიერება? ამის ახსნას უფრო ქვემოთ შევეცდებით, ამჯერად კი ევროპის პირველობის ორი ოქროს მედლის მფლობელს ანა დოლონაძეს მოვუსმინოთ.

— გერმანიის პატარა და ლამაზ ქალაქ ზალციგიტერში შეჯიბრების დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავფრინდით. ერთი სული გვქონდა, რომ ბატუტზე შევმდგარიყავით. საქმე ისაა, რომ ბატუტებს შორის შეიძლება მცირე, მაგრამ მაინც საკმაო განსხვავებაა. ამ „მცირეს" თუ მას ალღო ვერ აუღე, შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს. საბედნიეროდ, ყველა ბატუტი ამ მხრივ უნაკლო იყო. ჩვენი გუნდის ძირითადი მეტოქე იყო ინგლისელი ანდრეა ჰოლმსი, რომელმაც 1984 და 1986 წლებში, შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონობა და ევროპის პირველობა მოიპოვა. სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ინდივიდუალურ ხტომებში ტატიანა ლუშინა დაწინაურდა, მას კვალში ჩაუდგა ჰოლმსი. მესამე შედეგი მე მქონდა, მეოთხე რუსუდანი იყო, ხოლო მეხუთე — ლია. ნებისმიერ ვარჯიშში მოხდა მოულოდნელობა, ლიდერები დავარდნენ და ფინალურ ასპარეზობას გამოეთიშნენ. უკვე ნათელი იყო, რომ პირველ ადგილს ერთ-ერთი ქართველი ბატუტისტი მოვიპოვებდით, მაგრამ, ცხადია, არც იმის დავიწყება შეიძლებოდა, რაც ლუშინასა და ჰოლმსს შეემთხვათ. ფინალში ლიამ და რუსუდანმა თავისი გამოსვლა თითქმის უშეცდომოდ დაამთავრეს. მე, როგორც ჩანს, მღელვარებას ვერ მოვერიე, ბატუტზე ოდნავ გვერდზე მოვხვდი და მხოლოდ ნებისყოფის დიდი დაძაბვით მოვახერხე წონასწორობის შენარჩუნება, მიუხედავად ამისა, მთელი ვარჯიში უნაკლოდ შევასრულე. ქულების გამოცხადებამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გავიდოდი, გამოირკვა, რომ უფრო მეტი სიხარული მელოდა: პირველი ადგილი დავიკავე.



სინქრონულ ხტომებში სავალდებულო გამოსვლის შემდეგ ინგლისელები ჰოლმსი და ჰელფორდი დაწინაურდნენ, მე და ლია მეორე ადგილზე ვიყავით. მომდევნო ადგილზე იყვნენ ჩეხოსლოვაკელი ტყუპები ვისნოვსკები. ნებისმიერი პროგრამის დროს კოლომეეცს მუხლი ასტკივდა და დავარდა. ამის გამო რუსუდანმაც მაყურებლებში გადაინაცვლა. ყველა იმედი ჩვენზე იყო დამყარებული. მეორე გამოსვლის დროს ჰელფორდმა იტკინა ფეხი, ბოლომდე ვერ შეასრულა პროგრამა და ინგლისელებმა პირველი ადგილი ჩვენ „დაგვითმეს" (ტყუპებმა კვლავ შეინარჩუნეს პოზიციები).

მთავარი ბრძოლა ფინალში გველოდა. იმის გამო, რომ ინგლისელები უფრო მაღალი — 8,8 სირთულის კოეფიციენტით ასპარეზობდნენ, რაც მათ, ცხადია, უპირატესობას ანიჭებდა, ჩვენმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა გადაწყვიტა ვარჯიშის სირთულე ცხრამდე გაგვეზარდა, თუმცა ჩვენთვის ეს პროგრამა არც ისე რთული შესასრულებელი იყო, რადგან შინ ძირითადად ათი სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშებით ვემზადებოდით. ფინალი ჰოლმს-ჰელფორდმა უშეცდომოდ გაიარეს. ერთი უმნიშვნელო შეცდომაც რომ დაგვეშვა მე და ლიას, პირველ ადგილს ინგლისელები მოიპოვებდნენ. რუსუდანი გვამშვიდებდა, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავთო. ბატუტიდან რომ ჩამოვხტით და რუსიკოს შევხედეთ, დავრწმუნდით, რომ გავიმარჯვეთ. ეს ვარაუდი მალე მსაჯთა შეფასებამაც დაგვიდასტურა.

**ევროპის იუნიორთა პირველობაზე ჩვენი გოგონებიდან პირველად ყველაზე დიდ წარმატებას ფატიმა ფირანიშვილმა მიაღწია, მან 1980 წელს ვიტებსკელ ლიდია ივანოვასთან ერთად სინქრონულ ხტომებში მეორე ადგილი დაიკავა. ექვსი წლის შემდეგ რუსუდან ხოფერიამ იგივე შედეგი გაიმეორა, გარდა ამისა მან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო პირველ გუნდურ ჩათვლაში — ოქრო.**

ახლა კი ზემოთ დასმულ კითხვას გავცეთ პასუხი: იღბალი იყო თუ კანონზომიერება ევროპის პირველობაზე დებიუტანტების ანა დოლონაძისა და ლია ბენდიანიშვილის გამარჯვება?

დავიწყოთ იმით, რომ ანამ და ლიამ წლეულს საკმაოდ გამოიჩინეს თავი. მათ აპრილში თბილისში გამართულ მფრინავ-კოსმონავტ დობროვოლსკის სახელობის საკავშირო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო ორი თვის შემდეგ, ამჯერად დობროვოლსკის საერთაშორისო ტურნირში, კვლავ გაიმეორეს იგივე შედეგი „მცირე" შესწორებით — ანამ სინქრონულში ლიასთან მოპოვებულ ოქროს მედალს ინდივიდუალურში გამარჯვებაც მიუმატა. გარდა ამისა, ანა და ლია ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების ჩემპიონებიც გახდნენ. ასეთი სტაბილური შედეგები არც ერთ მათ მთავარ მეტოქეს არ ჰქონია (ცხადია, რუსუდან ხოფერიას არ ვგულისხმობთ). რაც შეეხება მოწინააღმდეგეთა ტრავმებს, ეს უმეტესად მაშინ ემართებათ სპორტსმენებს, როდესაც ტექნიკურად არასაკმაოდ არიან მომზადებულნი. ასე რომ, ყველანაირი განზომილებით ჩვენი გოგონების გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო. ასეთი დასკვნის გაკეთებას ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ რუსუდან ხოფერიას წლევანდელი და ადრინდელი წარმატებები მხოლოდ მისი დიდი ნიჭიერებით კი არ იყო მიღწეული (ხანდახან ხდება ხოლმე, არცთუ გამორჩეული ნიჭის მწვრთნელს უდიდესი ბუნებრივი მონაცემების მქონე შეგირდი სახელსა და დიდებას რომ მოუტანს), არამედ მას საფუძვლად ედო ჩვენი მწვრთნელების მაღალი კვალიფიკაცია და გეგმაზომიერი მუშაობა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თენგიზ ხუდოევისა და ზაურ სულაშვილის თავდაუზოგავი მუშაობა, სპორტის ამ სახეობისადმი შემოქმედებით მიდგომა გახდა ქვაკუთხედი ქართული ბატუტის ესოდენ დაწინაურებისა.

წლევანდელმა წელმა სპორტის ამ სახეობის ქომაგებს ბევრი სიხარული მოგვიტანა. ვუსურვებთ მწვრთნელებს და მათ შეგირდებს მომავალშიც ასეთი მტკიცე ნაბიჯებით ევლოთ.

**ჯემალ კასრაძე.**

საქართველოს სპორტსახკომში

როცა დაყოვნება აღარ შეიძლება

# ჩოგბურთელებს, პირველ ყოვლისა, შრომაა

**ჩვენს** რესპუბლიკაში ჩოგბურთი სპორტის იმ სახეობათა სათვალავში შედის, რომელიც წარსულში სახახელო მიღწევებით ამაყობდა, დღეს კი გაგვაჩნია იმის შესაძლებლობები, რომ ტრადიციები კიდევ უფრო გავაღრმავოთ.

რა გვიშლის ხელს წინსვლაში? რესპუბლიკის სპორტსახკომში ახლა ამდაგვარ კითხვას უსვამენ სპორტის ყველა სახეობის სპეციალისტს, როცა მომავალი ოლიმპიური ციკლისთვის ნაკრები გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების მზადების საკითხებს საგანგებოდ განიხილავენ. გამონაკლისი, ცხადია, არც ჩოგბურთი გახლავთ. ახლო მომავალში ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში დაგეგმილია 10-15 ჩვენი ჩოგბურთელის მონაწილეობა. ლიდერები—ლეილა მესხი და ვლადიმერ გაბრიჩიძე იასპარეზებენ ფედერაციის თასზე, მათვე უგემავენ დევისის თასის გათამაშებაში მონაწილეობას. მესხმა უნდა იბრძოლოს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში ადგილის დასამკვიდრებლად. ამ სპორტსმენმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ბარსელონას მომავალ ოლიმპიადაში და იბრძოლოს საპრიზო ადგილისთვის. გაბრიჩიძის გარდა გვყავს პერსპექტიული სპორტსმენები: დავით კაჭარავა, დავით კვარაცხელია, ალექსანდრე სიმონიანი, კოტე გოგელია, გია კუპრეიშვილი. ლეილა მესხის მომდევნო თაობასაც აქვს საამისო მონაცემები, რომ ადგილი დაიმკვიდროს დიდ ჩოგბურთში. ესენი არიან: ეკა ბოკუჩავა, ეკა თოხაძე, რუსუდან მძინარიშვილი, თეა მუჩაიძე, ლიანა ტამიროვა, ანა გასპარიანი...

ამას წინათ გამართულ საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე მკაფიოდ გამოიკვეთა ის მიზეზები, რაც ჩვენი ჩოგბურთელების წინსვლას აფერხებს. მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა დაუფარავად ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე. გამოიკვეთა ერთი საერთო აზრი — საქმისადმი თვით სპორტსმენთა დამოკიდებულებაა თავი და თავი, რომ ნიჭიერი ჩოგბურთელების დაოსტატება დღეს არასასურველ დონეზეა. ისინი განებივრდნენ, წვრთნის პროცესს ყურადღებით არ ეკიდებიან, თავს არიდებენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშს, ხშირად აცდენენ საწვრთნელ მეცადინეობებს, რის გამო სპორტსმენთა ფუნქციონალური მდგომარეობა დაბალია. ითქვა ისიც, რომ არადამაკმაყოფილებელია მათზე გაწეული ხარჯების უკუგება.

კოლეგიის სხდომაზე სპორტსმენებიც მიიწვიეს. ყველას მისცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. პირდაპირობას არც ისინი მოერიდნენ, საყვედური გამოთქვეს, რომ განიცდიან საუკეთესო ინვენტარის ნაკლებობას, ყოველთვის როდი აქვთ ვარჯიშის შემდეგ მოედანზე დარჩენისა და ინდივიდუალურად ვარჯიშის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ საკითხს, ცხადია, გაითვალისწინებენ, მაგრამ კოლეგიის სხდომაზე მოიტანეს კონკრეტული ფაქტები, როცა თვით სპორტსმენები არ გრძნობენ სრულ პასუხისმგებლობას, ებლაუჭებიან მიზეზებს, რის გამოც არ სრულდება მზადების დასახული გეგმები. ზოგიერთ შემთხვევაში მათი მხრიდან საქმე ულტიმატუმამდეც მიდის, რაც არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის კოლექტივში.

სპორტსმენისათვის შეუფერებელი დამოკიდებულების ფაქტების გაანალიზებისას კოლეგიაზე ახლანდელი ნაკრები გუნდების სრული დაშლის საკითხიც კი დაისვა განსახჯელად. არგუმენტი საფუძვლიანი იყო — უფროსები ცუდ მაგალითს ძლევენ მათზე უმცროსებს.

კოლეგიაზე მოწვეულმა სპორტსმენებმა პირობა დადეს, რომ მომავალში სრული გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საწვრთნელ პროცესს, ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით იასპარეზონ მომავალი ოლიმპიური ციკლის შეჯიბრებებში, სადაც პირველი სერიოზული გამოცდა ჭაბუკთა IV ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში ელით.

იმ იმედით, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა შეიგნეს რესპუბლიკის სპორტული ტრადიციების წინაშე პირადი პასუხისმგებლობა, კოლეგიამ მათ ორი თვის ვადა მისცა, რის შემდეგ სპორტსახკომი კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს.

მკითხველის წინადადება

## დიდ ინტერესს გამოიწვევს

**გთავაზობთ** ასეთ წინადადებას: თბილისში, ქუთაისში და ჩოხატაურში ჩატარდეს ქუთაისელი რეგბისტებისა და ჩოხატაურელი ლელობურთელების საჩვენებელი ორთაბრძოლა.

ჩემი აზრით, ლელობურთელები რეგბის წესებით ვერ იბრძოლებენ, მაგრამ რეგბისტები შეძლებენ ლელობურთის წესებით თამაშს.

დარწმუნებული ვარ, ეს საჩვენებელი შეხვედრები დიდ ინტერესს გამოიწვევს და ბევრი მაყურებელიც დაესწრება. შემოსული თანხა შეიძლება გადაირიცხოს ბავშვთა ფონდში.

პატივისცემით,

**როლანდ მეფარიშვილი.**
თბილისი.

## ქულათა მაქსიმუმით

ჭადრაკი

**ბათუმის** პიონერთა და მოსწავლეთა პარკის საჭადრაკო კლუბ „ციცინათელაში" მიმდინარეობს საქართველოს მოსწავლე გოგონათა და ჭაბუკთა პირველობები 100-უჯრედიან შაშში. შეჯიბრებებში 16-16 გოგონა და ჭაბუკი ჩაება.

გოგონებში 6 ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით მადონა შალამბერიძე და ლია არუთინოვა დაწინაურდნენ. 5-5 ქულა მოაგროვეს ლია ბეჟაშვილმა და თინა ხარატიძემ.

ჭაბუკთა ტურნირშიც 6 ტურის შეხვედრებია გათამაშებული. ქულათა მაქსიმუმით შეჯიბრებას კახა ნარეკლიშვილი ლიდერობს, ზურაბ კოდუას 5 ქულა აქვს, ვადიმ კოვებიაკინს — 4,5.

**როლანდ კერდიყოშვილი,**
**შეჯიბრების მდივანი, სპორტის ოსტატი.**

კვირიდან კვირამდე

**„პრავდა" — 19 დეკემბერი.** „უცნაური" თამაშები დაფის ირგვლივ". წლევანდელ საჭადრაკო სეზონს, რომელიც რამდენიმე დიდი ტურნირით აღინიშნა, მიმოიხილავს საერთაშორისო დიდოსტატი ა. სუეტინი.

**„კომსომოლსკაია პრავდა" — 18 დეკემბერი.** „წარმატების ფორმულა". დემოკრატია და დიდი სპორტი. როგორ უკავშირდება ერთმანეთს ეს ორი ცნება? თავის მოსაზრებას გამოთქვამს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი.

**20 დეკემბერი.** „გენკა-დომკრატი". ამ ადამიანისთვის ერთი ან ორი ტონის აწევა, ერთი ან ორი ნალის გატეხვა ბავშვური გართობაა...

**„ფიზკულტურა ი სპორტი" — № 10.** „ცხოვრებისეული ნიჭი". ლევან თედიაშვილზე ბევრი დაიწერა და ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება. ამჯერად მის შესახებ მოგვითხრობს იგორ სოსნოვსკი.

**„სოვეტსკი სპორტი" — 17 დეკემბერი.** „გროდნოზე და ჩიკაგოზე, ოლგა კორბუტზე და მაიკლ ჯექსონზე". ჩიკაგოში ყოველ 26 მარტს აღინიშნება ქალაქის საპატიო მოქალაქის ოლგა კორბუტის დღე.

**„მოსკოვსკიე ნოვოსტი" — 25 დეკემბერი.** „ფეხბურთელები ჩინოვნიკების წინააღმდეგ". წერილში მოთხრობილია როგორ მოიპოვეს გამარჯვება ფეხბურთის სპეციალისტებმა ადმინისტრატორებზე საფეხბურთო კავშირის შექმნის კონფერენციის მსვლელობისას.

მოკლედ

### მუშა — რაიონის ჩემპიონი

64-უჯრედიან შაშში ზესტაფონის რაიონის 1988 წლის ჩემპიონობა მძაფრ ბრძოლაში მოიპოვა შორაპნის ელემენტების ქარხნის მუშასპეციალისტმა კობა ცერცვაძემ, II ადგილი წილად ხვდა „ზესტაფონგაზის" ტექნიკის ოთახის გამგეს გია ნებიერიძეს, მესამე — „ქალაქვაჭრობის" № 3 მაღაზიის გამგეს რომან ბოჭორიშვილს.

**ჯემალ მახათაძე.**
ზესტაფონი.

# უნიკალური შემთხვევა

**როგორც** ჭადრაკის მოყვარულთათვისაა ცნობილი, ამას წინათ ბელგრადში დამთავრდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც „მსოფლიო თასის“ გათამაშების მომავალი ციკლის შესარჩევი ფინალური შეჯიბრების მონაწილე უნდა დაესახელებინა. დიდ წარმატებას მიაღწია 18 წლის თბილისელმა ოსტატმა **ლაშა ჯანჯღავამ**, რომელიც მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულებს (ორ მათგანთან ქულებიც კი გაიყო, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო 8 საუკეთესოში ვერ მოხვდა) და პირველად შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ბალი.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ახალგაზრდა „დიდოსტატობის კანდიდატი“ რედაქციაში გვეწვია და უფრო დაწვრილებით გვესაუბრა ამ შეჯიბრების ირგვლივ.

**⊙ ბელგრადში გამგზავრების წინ თქვენ საკავშირო ჩემპიონატის I ლიგაში ძალზე უფერულად ითამაშეთ. ვიფიქრეთ, ალბათ გადაიღლა ყმაწვილი ოსტატი, წელს ხომ მან ბევრ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, და აი, ამის ფონზე ყველასთვის მოულოდნელი შედეგი — 6,5 ქულა 9-დან და დიდოსტატის პირველი ბალის შესრულება...**

— მართლაც დამღალა წლევანდელმა სეზონმა, მაგრამ არც ისე, ბრძოლის თავი რომ აღარ მქონოდა. გამოგიტყდებით, პირველი ლიგის ტურნირში ნახევარი ძალით ვითამაშე. თუმცა კარგ სპორტულ ფორმაში შევედი და მერე, იუგოსლავიაში, ძალ-ღონე არ დამიშურებია მიზნის მისაღწევად.

**⊙ მიზანი ერთი გქონდათ თუ...**

— ალბათ ორი, მაგრამ... დიდოსტატის ბალზე უფრო ვფიქრობდი.

**⊙ თქვენს მიერ მოგროვილი ქულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თავისუფლად შეგეძლოთ მეორე მიზნის განხორციელებაც.**

— დიახ, მეორე ტურში იუგოსლაველ დიდოსტატ ივან სოკოლოვთან შეხვედრაში ჩემს სასარგებლოდ რომ დამემთავრებინა თითქმის უკვე მოგებული პარტია, ცაიტნოტში შევცდი და ყაიმს დავჯერდი.

**⊙ სოკოლოვის გარდა ვის შეხვდით?**

— დიდოსტატებს: კუბელ ამადორ როდრიგესს (მასთან ყაიმით დავამთავრე პარტია), ისლანდიელ ფრიდრიკ ოლაფსონს (ყაიმი), საბჭოთა მოჭადრაკეებს იოსებ დორფმანსა (ყაიმი) და გრიგორი კაიდანოვს (მოვუგე), იუგოსლაველ საერთაშორისო ოსტატს მიოდრაგ ტოდორჩევიჩს (მოვუგე), ფიდე-ს ოსტატებს: იუგოსლაველებს პავომს (მოვუგე), სეკულიჩს (ყაიმი) და ვუჩიჩს (მოვუგე).

**⊙ ესე იგი, არც ერთი პარტია არ წაგიგიათ.**

— არა. სხვათა შორის, ზუსტად ასე ვითამაშე ამ გაზაფხულზე ინგლისში, ახალგაზრდა ოსტატთა საერთაშორისო ტურნირში. მაშინაც



ლაშა ჯანჯღავა

4 პარტია მოვიგე და ხუთი ყაიმით დავამთავრე, მაგრამ რა შედარებაა, იუგოსლავიის ტურნირი გაცილებით ძლიერი შემადგენლობისა იყო.

**⊙ სულ რამდენი დიდოსტატი თამაშობდა ამ შეჯიბრებაში?**

— 270 მონაწილეს შორის 102 დიდოსტატი იყო. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შემთხვევაა საჭადრაკო ისტორიაში, როცა ამდენმა დიდოსტატმა ერთად მოიყარა თავი. აღსანიშნავია, რომ ტურნირში 80 საბჭოთა მონაწილე იყო, მათ შორის საქართველოდან ხუთნი ვიყავით. მე მეშვიდე-მეთხუთმეტე ადგილები გავიყავი, საბოლოოდ მეთერთმეტე ადგილი მერგო, ზურაბ აზმაიფარაშვილმა 6 ქულა მოაგროვა, ელიზბარ უბილავამ — 5,5, გენადი ზაიჩიკმა — 5, ბუხუტი გურგენიძემ — 4.

საუბრის ბოლოს ლაშა ჯანჯღავამ ისიც გვითხრა, 1990 წლისთვის, დიდოსტატის მეორე ბალიც უნდა შევასრულოო. 18 წლის ახალგაზრდისგან თამამი ნათქვამია, მაგრამ უკვე ხომ შეძლო სანუკვარ მიზანთან სულ ახლოს მისვლა! ჩვენთვის ესეც უნიკალური შემთხვევაა — ამ ასაკში რესპუბლიკის არც ერთ მოჭადრაკე ვაჟს არ დაუპყრია ასეთი სიმაღლე. ცხადია, აქ უდავოდ დიდია ახალგაზრდა ქართველი პედაგოგის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალექსანდრე ბოკუჩავას დამსახურება. მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ლაშა ჯანჯღავა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ბოკუჩავას მხარში ამოუდგა არმიის სპორტული კლუბის მწვრთნელი ჰენრიხ არონოვი და ამ შემოქმედებითმა [illegible] უკვე დაიპყრო [illegible] ახლა შეგიძლია [illegible] რე სიმაღლის დასალაშქრავად ემზადებიან.

**ესაუბრა დავით ტატიშვილი.**

* * *

**ახლა** გთავაზობთ ამ ტურნირში ლაშა ჯანჯღავას მიერ ნათამაშები ერთ-ერთი პარტიის დამთავრებას.

**მ. ტოდორჩევიჩი**



**ლ. ჯანჯღავა**

**46. h5 gh 47. e5! ლf5** (თუ 47. ...de, მაშინ 48. fe, შამათის მუქარით) **48. ეg5 ლb1 49. ლ:d6** და შავები დანებდნენ, რადგან 49. ...ლg1+ 50. მფh3 ლf1+ 51. კg2-ის შემდეგ შამათი გარდაუვალია.

# კ. ბესკოვი „სპარტაკიდან“ წავიდა...

**ამ ზაფხულს გაზეთებში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა მთავარი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ბესკოვი კლუბიდან წასვლას აპირებს. ცნობას კომენტარებიც მოჰყვა, მაგრამ კ. ბესკოვი მაინც თავის ადგილზე დარჩა...**

**ახლა** კი კვლავ მოვიდა ახალი ცნობა, რომ 68 წლის კ. ბესკოვი ნამდვილად განთავისუფლებულია „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო თვით ამ საფეხბურთო კლუბის გამგეობამ.

პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მოსკოვის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა 22 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა კლუბის ეს გადაწყვეტილება.

კ. ბესკოვი მოსკოვის „სპარტაკში“ 1977 წლიდან მუშაობდა. ამ ხნის მანძილზე სპარტაკელები ორჯერ გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები, მრავალჯერ იყვნენ საპრიზო მედლების მფლობელები. ახალი მთავარი მწვრთნელის მოწვევამდე მოსკოვის „სპარტაკს“ უხელმძღვანელებს მწვრთნელთა საბჭო, საბჭოს შემადგენლობაში არიან „სპარტაკის“ გუნდის უფროსი ნ. სტაროსტინი, მეორე მწვრთნელი ფ. ნოვიკოვი, ფეხბურთელები ფ. ჩერენკოვი, ე. კუზნეცოვი, ს. როდიონოვი და ა. ბუბნოვი.

თვით კ. ბესკოვი ასეთ კომენტარს უკეთებს მომხდარ ამბავს:

— კლუბიდან განთავისუფლების თაობაზე აგვისტოში დავწერე განცხადება, მაგრამ საკითხი მაშინ არ განუხილავთ და სეზონის ბოლომდე მთხოვეს მოცდა. წლევანდელი შვებულებიდან 21 დეკემბერს დავბრუნდი, და მეორე დღესვე მომთხოვეს განცხადება შემეტანა წასვლის თაობაზე, მაგრამ მე ამჯერად თავი შევიკავე. მაშინ უკვე მითხრეს, რომ გუნდიდან განთავისუფლებული ვარ, თუმცა საამისო მიზეზები არ დაუსახელებიათ. წლეულს „სპარტაკი“ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან გუნდიდან წავიდნენ წამყვანი მოთამაშეები ვაგიზ ხიდიატულინი და რინატ დასაევი. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე დავრჩენილიყავი კოლექტივში, ვინაიდან „სპარტაკთან“ ბოლო წლების ხანგრძლივი მუშაობა მაკავშირებდა. შევუდექი გუნდის ხელახალ დაკომპლექტებას, რისთვისაც მივიწვიე რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი. „სპარტაკში“ დავრჩი იმიტომაც, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ აღმითქვა ყველა ჩემი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამიტომაც „სპარტაკის“ კლუბის ხელმძღვანელთა ახლანდელი გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელიცაა და საწყენიც.

კ. ბესკოვი საყოველთაოდ აღიარებული მწვრთნელია, ამდენად მოსკოვის „სპარტაკში“ ამჯერად შექმნილ სიტუაციას ორდინალურს ვერ ვუწოდებთ. მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელს თვით გუნდი აირჩევს 1989 წლის იანვრის პირველ რიცხვებში. ამ პოსტის კანდიდატებად მიაჩნიათ სპორტის დამსახურებული ოსტატი იგორ ნეტო და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ოლეგ რომანცევი. არიან სხვა პრეტენდენტებიც.

# მინიფეხბურთის ტურნირზე ბათუმში

**ბათუმი (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.).** დასასრულს მიუახლოვდა მინიფეხბურთის რესპუბლიკური ფინალური ტურნირი, განვლილი, V ტურის შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „ზნაური“ (ზნაური) — „ვერა“ (თბილისი) 9:6, „დელფინი“ (ბათუმი) — რუსთავი 3:1, „ხიხანი“ (ბათუმი) — სოხუმი 3:1, „ოქროსუბანი“ (თბილისი) — „ნაგუთი“ (ჭიათურა) 10:10.

წინასწარ შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალის მეტოქენი: „ხიხანი“ — „დელფინი“, „ოქროსუბანი“ — სოხუმი.

**ლევან კაკუპარაძე.**

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### იტალია — შოტლანდია

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მასპინძლები იტალიელი ფეხბურთელები ინტენსიურად ემზადებიან მომავალი დიდი შეჯიბრებისთვის, ხშირად მართავენ საკონტროლო მატჩებს, ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს.

იტალიელმა ფეხბურთელებმა გასულ ოთხშაბათს ქალაქ პერუჯიოში მიიღეს შოტლანდიის ეროვნული ნაკრები. მასპინძელთა მწვრთნელმა ა. ვიჩინიმ გუნდის შემადგენლობაში ორი ახალი ფეხბურთელი შეიყვანა: კრიპი („ნაპოლიდან“) და მაროჩი („იუვენტუსიდან“). მატჩის დამთავრების შემდეგ მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ნაკრების ორივე ამ ახალბედას აკლია საერთაშორისო შეხვედრათა გამოცდილება.

პირველი ბურთი იტალიელმა ჯიანინიმ 48-ე წუთზე გაიტანა 11-მეტრიანით. დარტყმა მან ორჯერ შეასრულა, ვინაიდან მატჩის არბიტრმა ა. დელმერმა მიიჩნია, რომ შოტლანდიელთა მეკარემ დარტყმამდე მოიცვალა ფეხი ადგილიდან. ჯიანინის ხელმეორე დარტყმამ მიზანს მიაღწია, 70-ე წუთზე კი ბერტიმ ანგარიში 2:0-მდე გაზარდა.

ამ გამარჯვების მიუხედავად მატჩზე დამსწრე 40 ათასი მაყურებელი კმაყოფილი არ დარჩა, იტალიელი ფეხბურთელები უმთავრესად მინდვრის შუაგულში თამაშობდნენ და ნაკლებ ხიფათს უქმნიდნენ მეტოქის კარს.

მატჩის დამთავრების შემდეგ მწვრთნელმა ა. ვიჩინიმ აღნიშნა:

— შოტლანდიელებმა მაღალი კლასი გამოავლინეს, ამიტომაც ჩემს ფეხბურთელებს ვერ დავადანაშაულებ.

ეს იტალიის ნაკრების ზედიზედ მესამე გამარჯვებაა. მანამდე მან დაამარცხა ნორვეგიისა და ჰოლანდიის გუნდები. სამივე მატჩის ანგარიში ერთნაირია — 2:0.

• • •

**მოლინჟე.** საფრანგეთის საფეხბურთო თასის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „მოლინჟე“ და „რაიბერტსვილერი“. მატჩი მოთამაშეთა თავაშვებული ხულიგნობით აღინიშნა, ორივე გუნდის ხუთი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს და შვიდს ყვითელი ბარათი აჩვენეს.

გაიმარჯვა „რაიბერტსვილერმა“ — 3:1, რომელმაც 8 ფეხბურთელის შემადგენლობით დაამთავრა მატჩი.

**დოჰა (კატარი).** აზიის ქვეყნების საფეხბურთო თასის გათამაშებათა ისტორიაში ფინალურ მატჩს პირველად მოემსახურა ევროპელი მსაჯი. ეს გახლავთ საფეხბურთო სამყაროში ცნობილი არბიტრი მიშელ ვოტრო. მანამდე კი ამ შეჯიბრების ფინალურ მატჩებს ადგილობრივი მსაჯები ხელმძღვანელობდნენ.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ ექსპერიმენტს მიმართა და ევროპიდან სამი არბიტრი მიიწვია: ფრანგი მიშელ ვოტრო, ინგლისელი ჯორჯ კორნეი და შვედი ფრიკ ფრედრიქსონი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საუდის არაბეთისა და სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდები. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 0:0, დამატებითი პენალტები უკეთ გამოიყენეს არაბებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3. არაბთა გუნდის კაპიტანმა სალეხ ნეაუმამ მატჩის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ ფინალი ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო და მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი გახლდათ 43 წლის ფრანგი არბიტრი მიშელ ვოტრო.



### ვანდალიზმის ახალი აქტი

**საბერძნეთის** საფეხბურთო თასის მატჩში, სადაც „ოლიმპიაკოსი“ და ოფი შეხვდნენ ერთმანეთს ათენის სტადიონზე, მოხდა დიდი არეულობა, დააპატიმრეს და ხულიგნობის ბრალდება წარუყენეს 8 გულშემატკივარს.

ტრიბუნაზე მომხდარი დებოშის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო 16 პოლიციელმა, რომელთაგან ერთი სერიოზულადაა დაჭრილი. ინციდენტის მოთავენი უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ, 15-21 წლის გულშემატკივრები. ტრიბუნებზე მომხდარი ჩხუბის შემდეგ ათენის ოლიმპიურ სტადიონს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზარალი, რომელიც 350 ათას დოლარადაა შეფასებული. მიმდინარეობს ძიება.

### დააპატიმრეს 82 გულშემატკივარი

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში მგზავრობისას დააპატიმრეს და პოლიციის სამმართველოში მიიყვანეს საფეხბურთო კლუბის „აიაქს ამსტერდამის“ 82 გულშემატკივარი.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ისინი უბილეთოდ მიემგზავრებოდნენ, ხულიგნობდნენ. ბევრ მათგანს ჩხრეკისას ფვითნაკეთი ხელყუმბარები აღმოაჩნდა.

### ყალთაბანდობისთვის — საპყრობილე

ხანგრძლივი დებატების შემდეგ იტალიის სენატის საგანგებო კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ფეხბურთის მწვრთნელების, მოთამაშეებისა და კლუბების ხელმძღვანელთა მიმართ, თუ მათ უკანონო მაქინაციებში მიუძღვით ბრალი.

ამგვარ ყალთაბანდობებში შემჩნეულთ 2 მილიონი ლირა ჯარიმა და ერთი წლის ციხე მოელის.

### ბ. შტანგე გაათავისუფლეს

მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი წააგო სტამბოლში თურქებთან (1:3), დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს მისი უფროსი მწვრთნელი ბერნდ შტანგე. გუნდს იგი 1983 წლიდან ხელმძღვანელობდა. ბ. შტანგეს ნაცვლად ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნულია მანფრედ ზაპფე.

### ყველაზე სწრაფი გოლი

გოლი, რომელიც „ინტერის“ ფეხბურთელმა მატეოლიმ გაიტანა „ჩეზენას“ კარში უკვე მეათე წამზე, ყველაზე უფრო სწრაფი აღმოჩნდა იტალიის პირველი ლიგის მთელი არსებობის მანძილზე. ეს მატჩი ამ ანგარიშითაც დამთავრდა. საინტერესოა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ეს მეორე შემთხვევაა, როცა „ინტერი“ ასევე პირველ წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით იგებს.

**დამთავრდა** თბილისის პირველობა 1976 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქის სპორტული სკოლების 14 გუნდი.

გადამწყვეტ მატჩში, რომელიც „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ბაზაზე გაიმართა, ერთმანეთს „ნორჩი დინამოელისა“ და 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდები შეხვდნენ. ორივე გუნდი ქულათა თანაბარი მარაგით წარსდგა ერთმანეთის წინაშე. „ნორჩმა დინამოელმა“ მონდომებით, მობილიზებით ითამაშა, ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა და ქალაქის ჩემპიონის სახელიც მოიპოვა (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე, მწვრთნელები თ. ჩარკვიანი და ლ. როსინსკი).

**სურათზე: თბილისის ჩემპიონი „ნორჩი დინამოელის“ გუნდი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭადრაკო კომპოზიცია — — — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# ჩვენს მკითხველებს

**თავისებურ პატარა იუბილეს ზეიმობს გაზეთის „კომპოზიციის კუთხე“ რომელიც სპეციალურ მასალებს რეგულარულად აქვეყნებს 1986 წლიდან. დღევანდელი გამოშვება რიგით ორმოცდამეათეა! ამ ხნის განმავლობაში რედაქციამ კომპოზიციის მოყვარულთაგან ათასობით წერილი მიიღო, რისთვისაც მათ მადლობას უძღვნის. სასიხარულო ფაქტია, რომ საჭადრაკო ხელოვნება ჩვენს რესპუბლიკაში პოპულარობით სარგებლობს.**

**ვფიქრობთ, მოვიდა დრო, რომ ერთგვარად შევაჯამოთ ჩვენი რუბრიკის მუშაობა, რისთვისაც თქვენ მოგმართავთ თხოვნით, ძვირფასო მკითხველო! მოგვწერეთ თქვენი კრიტიკული შენიშვნები, სურვილები, წინადადებები. მათ გარეშე ხომ ძნელია ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი მუშაობა და გავუმჯობესოთ იგი მომავალ წელს.**

**ველით თქვენს წერილებს.**

## საიუბილეო — ორმოცდამეათე

**დღევანდელი** ქართული საჭადრაკო კომპოზიცია განვითარების ისეთ სტადიაში შევიდა, რომ გზადაგზა მას სხვადასხვა საიუბილეო თარიღები უჩნდება და მათი აღნიშვნა ან გაშუქება ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ნებისმიერი რანგის შემოქმედს, ხოლო ამ შემთხვევაში, საჭადრაკო კომპოზიტორს, კარგად ახსოვს თავისი დებიუტი; კერძოდ კი ის სასიხარულო განცდა, როცა მან პირველად იხილა საკუთარი შრომის ნაყოფი — დასტამბული ნაწარმოები, დიაგრამის თავზე კი პეტიტით აწყობილი თავისი სახელი და გვარი, ხშირად სწორედ ეს პირველი გაელვება პრესის ფურცლებზე გამხდარა მისთვის საჭადრაკო კომპოზიციაში მიზანდასახული შრომის მამოძრავებელ ძალად.

პიროვნების თვითგამოხატვის მნიშვნელოვან სტიმულად უნდა მივიჩნიოთ გია ნადარეიშვილის პირველი ეტიუდიც, რომელიც ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ერთ-ერთ ნომერში. ასე რომ, ნიჭიერი ახალგაზრდის ეტიუდისტად დაბადების თარიღი — 1938 წელი, მართლაც რომ საიუბილეოა იმ ადამიანისათვის, რომელიც ახლა საერთაშორისო დიდოსტატის და კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის საეტიუდო ექსპერტის წოდებებს ატარებს. ამავე დროს ეს ფაქტი საყურადღებოა ქართული საეტიუდო კომპოზიციის წარმომადგენლებსა და მოყვარულებისათვის, ვინაიდან ამ სკოლის ისტორია და მისი ფუძემდებლის სპორტულ-შემოქმედებითი ბიოგრაფია ერთმანეთისაგან განუყოფელი მოვლენების ჯაჭვს წარმოადგენს.

თუმცა ეტიუდის ჯადოსნურ სამყაროს სენაკელი მოსწავლე უფრო ადრე ეზიარა, მაგრამ მისთვის ომამდელი ოცდათვრამეტი წელი არა მარტო პირველი პუბლიკაციის, არამედ „ხმის ამაღლების“ ხანადაც იქცა. მაშინ გაჩნდა რესპუბლიკურ პრესაში მისი ეტიუდების სერია, რაც მანამდე უცხო იყო ქართული ჭადრაკის სამყაროში. მართალია, დღევანდელი საზომით თუ ვიმსჯელებთ, დამწყები კომპოზიტორის ჩანაფიქრთა საკმაო ნაწილი ა. ტროიცკის, ლ. კუბელის და სხვათა ნამუშევრების უნებლიე შემოქმედებით გამოძახილს წარმოადგენდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დებიუტანტმა სრჩევების დაუხმარებლად გაიკვლია გზა, საეტიუდო ხელოვნების ესთეტიკის პრინციპებს და შედგენის რთულ პროცესს სწორი ალღო აუღო. ხოლო ზოგიერთ ნაწარმოებში კი მომავალი ოსტატის ხელწერაც იგრძნობა.

**გ. ნადარეიშვილი, 1938**



მოგება

თეთრებს ფიგურის მოგება შეუძლიათ: 1. ეb1+ მფg2! (1. ...კg1 ცუდია, რადგან 2. h6 მოგებით) 2. ეb2+ მფh3 3. ე:h2+! მხედრის აღების შემთხვევაში ყაიმია მc6 სვლის შემდეგ. 3. ...მფ:h2 4. h6 მb4! თუმცა პაიკის დაწევა შეუძლებელია, მაგრამ შავებს მეტოქის მეფის ბლოკადაში მომწყვდევის იმედი აქვთ — 5. h7 მbc6. მაგრამ 6. h8ლ+ მფg3 7. ლf6 და თეთრები მაინც იგებენ, რადგან ლაზიერი შავ მეფეს კუთხეში მოამწყვდევს, რითაც ისინი ცუგცვანგში აღმოჩნდებიან და მხედრები ბლოკადას მოხსნიან. მასალა (მხედრები ლაზიერის წინააღმდეგ), რომელსაც აქ შევხვდით, ორი ათეული წლის შემდეგ ეტიუდისტის შთაგონების ერთ-ერთ არსებით წყაროდ იქცა და „მხედრულის“ თემის აღმოჩენამდე მიიყვანა.

მისი ეტიუდისტად ჩამოყალიბების პროცესს ინტერესით ადევნებდა თვალს რესპუბლიკის საჭადრაკო საზოგადოება. ქართველი მოჭადრაკეების კ. ლამბარაშვილის, ვ. გოგლიძის, ა. ფალავანდიშვილის, ა. ებრალიძის, ა. ფირცხალავას, ვ. ქარსელაძის და სხვ. თანადგომითა და წახალისებით ვაჟკაცდებოდა კომპოზიტორი. და რა საოცრად ჟღერს დღეს ის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც ქართული საჭადრაკო კულტურის ამაგდარმა, უნიჭიერესმა მაესტრომ არჩილ ებრალიძემ 1946 წ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ მისი რედაქციით დაბეჭდილ კომპოზიციას წაუმძღვარა: „ამ ეტიუდის ავტორი ახალგაზრდა ექიმი გია ნადარეიშვილი ეტიუდების შედგენის დამწყებად უნდა ჩაითვალოს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ არ არის გაცნობილი მსოფლიო ჭადრაკის კომპოზიტორების ბევრ ნაშრომს, მის ეტიუდებში ჩვენ ვხედავთ ორიგინალურ და მკაფიო იდეებს. მას ბევრი ნიჭიერად შედგენილი ეტიუდი აქვს და თუ გ. ნადარეიშვილი შემდგომშიც ისეთივე სიყვარულით მოეკიდება ამ საქმეს, როგორც აქამდე, ეჭვს გარეშეა, ის მიაღწევს ჭადრაკის კომპოზიციის ოსტატობის მწვერვალს“.

მართლაც რომ არ უმტყუნა ბატონ არჩილს წინათგრძნობამ და განჭვრეტის უნარმა. დღეს თანამედროვეობის გამოჩენილ ეტიუდისტს ხომ ოსტატობის და შემოქმედების ბევრი მწვერვალი აქვს დაპყრობილი! ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე მის მიერ შექმნილი ოთხასზე მეტი ნაწარმოები ზოგს შეიძლება ეცოტაოს. მაგრამ რაოდენობრივი მიღწევები ავტორს არ იზიდავს. მისთვის მთავარია უჩვეულო და საინტერესო იდეის მიგნება და დახვეწილი ფორმით წარმოჩენა. იდეათა პოვნა არც თუ ისე ხშირად ხდება კომპოზიტორთა ცხოვრებაში, ხოლო ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაო დრო, ხშირად წლებიც კი სჭირდება.

საიუბილეო წლისთავზე ბატონი გია ისეთივე მხნე და ენერგიულია, როგორც დებიუტანტობის ხანაში. მისი მეცადინეობით და ინიციატივით ახლახან ბუდაპეშტში საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის XXXI სხდომაზე შეიქმნა ეტიუდების ქვეკომისია, რომელიც ერთადერთია კომპოზიციის ჟანრებს შორის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ გამოდის მის მიერ ა. აკობიასთან თანაავტორობით შექმნილი საშამათო ეტიუდების ანთოლოგია. მეორე გამოცემისთვის ამზადებს თავის დროზე გახმაურებულ, ორიგინალურ წიგნს „ეტიუდი დიდოსტატების თვალით“, რომლის მოცულობა და შინაარსი ახალი ეტიუდისტების და დიდოსტატების გამოჩენის გამო ფართოვდება. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა მისი უკანასკნელი რჩეული ეტიუდების წიგნი „სილამაზის ძიებაში“. მართალია, ორმოცდაათი წლის წინათ დაბეჭდილი პირველი ეტიუდი იქ ვერ მოხვდა, მაგრამ ღრმად გვჯერა, რომ სწორედ მან მისცა დასაბამი ამ რჩეული ნაწარმოებების კრებულის შექმნას.

ამოსავალ ნიშნად გთავაზობთ იუბილარის ერთ-ერთ ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც მართალია, სიუჟეტის სირთულით არ გამოირჩევა, მაგრამ გვხიბლავს თავისი ფინალით.

**გ. ნადარეიშვილი, 1988**

**(იბეჭდება პირველად)**



მოგება

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!



# ერთი მატჩიც და...

**გუშინ თბილისში, „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში, გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის (I ლიგა) მეხუთე ტურის მორიგი ორი მატჩი.**

თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელიც იმავე საღამოს ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრა გფრ-ში, კვლავ შეხვდა ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის გუნდს. შეგახსენებთ, ორი დღით ადრე გამართულ მატჩში ანგარიშით 19:15 გაიმარჯვეს ქართველმა ხელბურთელებმა.

მათი მეორე შეხვედრა ამჯერად მეტად დაძაბულად წარიმართა — 5:5, 7:7, 8:8. ტაიმი შენგელიას ზუსტი ტყორცნის შედეგად მაინც მოვიგეთ — 9:8. შეხვედრის მეორე ნახევარ საათში მასპინძელთა უპირატესობა უკვე აშკარა იყო, რაც საბოლოო ანგარიშშიც გამოიხატა — 24:16.

ამრიგად, თბილისის ტურში ჩვენმა „ბურევესტნიკმა“ მოიგო ოთხივე შეხვედრა, 28 ქულა მოაგროვა, რაც ფინალურ ოთხეულში მოხვედრის გარანტიას ნიშნავს.

გუშინვე ერთმანეთს შეხვდნენ დონეცკის „შახტიორი“ და ტალინის „კოოპერატორი“. პირველი ტაიმი ფრედ — 11:11 — დამთავრდა. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მსაჯებთან შეკამათებისათვის მოედნიდან გააძევეს დონეცკელი კარმასი. ორი ქულით მატჩს იგებდნენ ტალინელები — 22:20. საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე „შახტიორის“ კარში 7-მეტრიანი დაინიშნა და... განაწყენებულმა დონეცკელებმა თავიანთი მწვრთნელის ივან ფუჩეჯის მოწოდებით მოედანი დატოვეს. „შახტიორს“ დამარცხება ჩაეთვალა, მაგრამ მთავარი მარცხი მაინც ტურნირის მონაწილეებისა და მაყურებელთა (თუმცა საკმაოდ მცირე აუდიტორიის) გულისწყრომა იყო.

დღეს თბილისის ტურის ბოლო მატჩია — „კოოპერატორი“ — ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის გუნდს შეხვდება. (დასაწყისი 10 საათზე).

**ოთარ ოთარაშვილი.**

# წლის საუკეთესონი

**ყოველი წლის მიწურულს ჟურნალისტები სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებს ასახელებენ.**

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო სპორტსმენები გახდნენ: ვაჟთა შორის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში იოზეფ პრიბილინეცი და ამავე ოლიმპიადის მონაწილე, ბადროს მტყორცნელი ზდენკა შილჰავა (ქალებში).

**ბერლინი.** გდრ-ის ჟურნალისტებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობა ცურვაში მსოფლიოს რეკორდსმენს, ოლიმპიადის მრავალგზის ჩემპიონს კრისტინ ოტოსა (ქალებში) და ველოსიპედისტ ოლაფ ლუდვიგს (ვაჟებში) მიაკუთვნეს.

**ოტავა.** კანადის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარებულია სეულის ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედლის მფლობელი სინქრონულ ცურვაში კაროლინ ვალდო. ვაჟებში პრიზი გადაეცათ პროფესიონალ ჰოკეისტს „პიტსბურგ პინგვინზიდან“ მარიო ლემიეს და ოლიმპიურ ჩემპიონს კრივში ლენოქს ლუისს.

**სოფია.** ბულგარეთის საუკეთესო სპორტსმენები გახდნენ: ქალებში — ოლიმპიური ჩემპიონი ტანია ბოგომილოვა (ცურვა) და ვაჟებში — ოლიმპიური ჩემპიონი ხრისტო მარკოვი (მძლეოსნობა).

**ჰავანა.** 1988 წლის სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით კუბის საუკეთესო სპორტსმენად ჟურნალისტებმა დაასახელეს, ვაჟებში — მძლეოსანი ხავიერ სოტომაიორი (მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 243 სმ), ქალებში — ასევე მძლეოსანი ანა ფიდელია კიროტი.

**ბელგრადი.** გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო იუგოსლავიის 92 ჟურნალისა და გაზეთის 500-მდე მიმომხილველმა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს ოლიმპიადის ჩემპიონებმა სროლაში გორან მაქსიმოვიჩმა (ვაჟებში) და იასნა სეკარიჩმა (ქალებში). წლის საუკეთესო კოლექტივებად დასახელებულია კალათბურთელ ქალთა და წყალბურთელთა გუნდები. ყველაზე გაბედულ სპორტსმენად ჟურნალისტებმა ნიჩბოსანი ქელკო კუკეცი მიიჩნიეს, რომელმაც ვარჯიშის დროს წყალწაღებული გადაარჩინა.

**ლისაბონი.** ლუზა-ს სააგენტომ პორტუგალიის საუკეთესო სპორტსმენთა სამეული დაასახელა. ლაურეატები გახდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში როსა მოტა და ორი ფეხბურთელი — რუი ბარუში (ამჟამად იტალიის „იუვენტუსში“ თამაშობს) და რაულ ფუტრე (მადრიდის „ატლეტიკო“).

**ოსლო.** ნორვეგიის საუკეთესო სპორტსმენი გახდა მოჭიდავე იონ რენინგენი. იგი ჯერჯერობით პირველი ნორვეგიელი მოჭიდავეა, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო.

**ბუდაპეშტი.** წლის საუკეთესო სპორტსმენებისთვის დაწესებული პრიზი გადაეცათ მოცურავეებს: 21 წლის ტომაშ დარნის (ვაჟები) და 14 წლის კრისტინ ეგერსეგის (ქალები). საუკეთესო გუნდად მიჩნეულია თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრები, რომელმაც სეულში ოქროს მედალი დაიმსახურა. წლის საუკეთესო მწვრთნელი ტამაშ სეჩი გახდა.

## „სპორტპროგნოზი“

**51-ე ტირაჟის შედეგები (17-18 დეკემბერი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 51-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 17-18 დეკემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.723.262 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (53) მოგებამ შეადგინა 1.053 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.454) — 76 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (14.995) — 26 მანეთი.

51-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 7 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით.

**„სპორტპროგნოზი“, 1989 წლის პირველი ტირაჟის პროგრამა (31.XII-1.I)**

| ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები შაიბიან ჰოკეიში, აშშ | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „ბოსტონ ბრიუინზი“ — ცსკა | 31.XII | 40 | 10 | 50 |
| 2. „ლოს-ანჯელეს კინგზი“ — „დინამო“ (რიგა) | 31.XII | 70 | 10 | 20 |
| **მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში ახალგაზრდებს შორის, აშშ** | | | | |
| 3. გფრ — ფინეთი | 31.XII | 10 | 10 | 80 |
| 4. შვეცია — კანადა | 31.XII | 50 | 10 | 40 |
| 5. აშშ — გფრ | 1.I | 80 | 10 | 10 |
| 6. სსრ კავშირი — ფინეთი | 1.I | 80 | 10 | 10 |
| 7. კანადა — ჩეხოსლოვაკია | 1.I | 50 | 10 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 8. „დინამო“ (მოსკოვი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი) | 31.XII | 50 | 10 | 40 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 9. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ტორინო“ (ტურინი) | 1.I | 70 | 20 | 10 |
| 10. „რომა“ (რომი) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი) | 1.I | 30 | 40 | 30 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 11. „ვალენსია“ (ვალენსია) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) | 1.I | 40 | 30 | 30 |
| 12. „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ბარსელონა“ (ბარსელონა) | 1.I | 60 | 30 | 10 |
| 13. „სევილია“ (სევილია) — „მურსია“ (მურსია) | 1.I | 70 | 20 | 10 |

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05661